თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

P.S.

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი მოსახლეობას აფრთხილებს

იხილეთ მე-2 გვერდზე

არჩევნების შედეგების დათვლის პროცესს შეგიძლიათ პირდაპირ რეჟიმში უყუროთ

იხილეთ მე-2 გვერდზე

№17 (756) 2 - 9 ოქტომბერი, 2016 გამოდის 1995 წლიდან ფასი: 70 თეთრი

გოგი წულაიას ჯენტლმენური ხელშეკრულება ამომრჩევლებთან

ხელშეკრულება ამომრჩეველთან – ეს 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების „Know How“-დ მოინათლა, თუმცა მთლად ასეც არ არის, რადგანაც პირველად ასეთი ხელშეკრულებები 2003 წლის არჩევნების დროს გამოჩნდა ქუთაისში და ამას ორგანიზებას უკეთებდა „ნაციონალების“ მაშინდელი ქუთაისის ორგანიზაციის წარმომადგენელი გოგი წულაია, რომელიც ამჟამად „პატრიოტთა ალიანსი- გაერთიანებული ოპოზიციის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატია და კვლავ წარმატებით იყენებს „ხალხის გულის მოგებისთვის“ მისივე აპრობირებულ მეთოდს.

სხვათა შორის, ხელშეკრულებების დადების ტრადიციას არც ნაციონალები ღალატობენ და 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების კამპანიისას, პირველი სწორედ ნაციონალი ლევან ვარშალომიძე იყო, რომელმაც ბათუმში წერილობითი ხელშეკრულებები გააფორმა ამომრჩეველთან. ცოტა მოგვიანებით ხელშეკრულების ბლანკებით „პატიოტთა ალიანსის“ აგიტატორები გამოჩნდნენ და ამომრჩეველთან ხელშეკრულებების გაფორმება დაიწყეს. ახლახანს კი, ქუთაისის №49-ე ოლქის მაჟორიტარმა კანდიდატმა გოგი წულაიამ ხელშეკრულების ტექსტი სოციალური ქსელითაც გაავრცელა. აი, ისიც:

„ავტოქარხნის“, „სულხან-საბას“ და „ვაკისუბნის“ მაჟორიტარი კანდიდატის გიორგი (გოგი) წულაიას ხელშეკრულება ამომრჩეველთან ამ ხელშეკრულების ძალით ვალდებულებას ვიღებ:

*პარლამენტის წევრად არჩევის შემთხვევაში, არა უგვიანეს **2016** წლის **31** დეკემბერს, პარლამენტს მივმართო შემდეგი საკანონმდებლო ინიციატივებით:*

***1.** თვითმმართველობის ორგანულ კანონში, ქუთაისისათვის, როგორც უძველესი სატახტო ქალაქი-დედაქალაქის, როლის განსაზღვრა.*

***2.** ქუთაისის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოო დაწესებულებების გადახდილი გადასახადის უდიდესი პროცენტი დარჩეს ადგილზე და მოხმარდეს ქალაქის სოციალურ და ინფრასტრუქტურულ პროექტებს.*

***3.** ქუთაისის ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების, რომლებიც ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა, ქუთაისისათვის გადმოცემა-განკარგვის უფლებით.*

***4.** სახელმწიფოსათვის თანაბარი ღირებულების უნდა იყოს ქუთაისის და თბილისის (სხვა რაიონები) მაცხოვრებლის სიცოცხლე და ჯანმრთელობა, ასევე - გათანაბრებული უნდა იყოს კეთილმოწყობის, დასუფთავების და სამსახურების ხელფასები.*

***5.** კანონპროექტების პაკეტი, რომლებიც ხელს შეუწყობს ადგილზე სამეწარმეო ბიზნესის განვითარებას.*

***6.** არსებული ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დახვეწა-რეალურად ამუშავება, რაც ხელს შეუწყობს ფასების შემცირებას წამლებზე, საწვავზე, პროდუქტებზე და ა.შ.*

***7.** დღეს არსებული მახინჯი, აუტანელი, კორუფციული პარკინგის წესის გაუქმება და ახალი, ჯანსაღი, ყველასთვის მისაღები წესის მიღება.*

***8.** კანონპროექტი საპენსიო რეფორმის შესახებ, რომელიც შეამცირებს საპენსიო ასაკს და გაზრდის საპენსიო თანხას.“*

ხელშეკრულებაში მეორე მხარის ვალდებულებები არ ჩანს, თუმცა, იგულისხმება, ეს ყველაფერი იმ შემთხვევაში გაკეთდება, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე რვა ოქტომბერს გოგი წულაიას გასწვრივ შესაბამის ციფრს შემოხაზავს. ხელშეკრულებაში შემომხაზველის სახელი, გვარი და პირადობის ნომერი ფიქსირებულია.

გოგი წულაია

2016 წლის არჩევნების სიახლეზე სამართლიანი არჩევნების რეგიონალური ორგანიზაციის კოორდინატორი თეონა გოგიშვილი ამბობს, რომ ამომრჩევლის მოსყიდვის ფაქტები ასე კონკრეტულად არ იკვეთება, თუმცა, მაინც დასაფიქრებელია და შესასწავლია.

ვარშალომიძის ამორჩეველთან ხელშეკრულების დადების ფაქტი მაშინ ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ ამომრჩევლის მოსყიდვად შეაფასა და აღნიშნა, რომ „ამგვარი ინფორმაციის მიწოდება გავლენას ახდენს ამომრჩევლის ნებაზე და მას უყალიბებს მცდარ მოლოდინებს წინასაარჩევნოდ, რაც ხელს უშლის წინასაარჩევნო პროცესების თანაბარ და კონკურენტუნარიან გარემოში წარმართვას.“.

ამჯერად წულაიას ხელშეკრულებას ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის ხელძღვანელი გიორგი სანტურიანი „ჯენტლმენურ ხელშეკრულებას“ უწოდებს.

„აქ არ ჩანს რაიმე კონკრეტული მოსყიდვის ფაქტი, აქ მხოლოდ დაპირებებია. საარჩევნო კოდექსის მიხედვით, არჩევნების დანიშვნის შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტის გამოქვეყნებიდან არჩევნების საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე აკრძალულია: ა) საარჩევნო სუბიექტების, საარჩევნო სუბიექტობის კანდიდატებისა და მათი წარმომადგენლების მიერ პირადად ან ვინმეს მეშვეობით საქართველოს მოქალაქეებისათვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემა (მიუხედავად მათი ღირებულებისა), შეღავათიან ფასად საქონლის მიყიდვა, უფასოდ ნებისმიერი საქონლის (გარდა ამ კანონით გათვალისწინებული სააგიტაციო მასალისა) მიწოდება ან გავრცელება, აგრეთვე საქართველოს მოქალაქეების დაინტერესება ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა გადაცემის დაპირებით (მიუხედავად მათი ღირებულებისა); კონკრეტულად არცერთი ფაქტი ამ ხელშეკრულებაში არ იკვეთება.“ – ამბობს სანტურიანი.

მაკა ჩინიჯიშვილი

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

სტატია ქვეყნდება პროექტის „გაცნობიერებული არჩევანი–დემოკრატიის ფუნდამენტი“ ფარგლებში.
ავტორის/ავტორების მიერ საინფორმაციო მასალაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდ "ღია საზოგადოება-საქართველოს" პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

გია თევდორაძე: „დღეს ქუთაისს სჭირდება გამოცდილება, კომპეტენცია და ერთგულება“

გიორგი თევდორაძე დაიბადა ქალაქ ქუთაისში 1975 წელს.
2003 -2004 წლებში მუშაობდა ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის აპარატი მერის მრჩეველი.
2004-2007 წლებში მუშაობდა იმერეთში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორის აპარატში, რწმუნებულის მოადგილე.
2009-2012 წლებში ქალაქ ქუთაისის მერი იყო.
2012-2016 წწ — საქართველოს მე-8 მოწვევის პარლამენტის წევრი.
ჰყავს მეუღლე მაკა ხეცურიანი - აწსუ ასოცირებული პროფესორი,ორი შვილი და შვილიშვილი.

- რა არის თქვენი მთავარი წინასაარჩევნო დაპირება.

-ჩემი და ჩემი თანაგუნდელების მთავარი დაპირება უშუალოდ ქუთაისელი ამომრჩევლის მიმართ არის ქუთაისის ფუნქცია, მისი სტატუსი - ქუთაისი როგორც საპარლამენტო დედაქალაქი, ქვეყნის პოლიტიკური ცენტრი. ეს მხოლოდ ჩვენი, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გამარჯვების შემთხვევაში არის შესაძლებელი. ეს არ ნიშნავს არამარტო ძლიერ ეკონომიკას, მეტ ინვესტიციას და მეტ სამუშაო ადგილს. არამედ ეს ნიშნავს რეალურ პერსპექტივას, რეალურ მომავალს ჩვენი შვილებისთვის. არ ვახდენ არაფრის უტრირებას, უბრალოდ ამ შანსის, ამ ფუნქციისა და ამ სტატუსის ხელიდან გაშვების შემთხვევაში ჩვენ რეალური საშიშროება გვემუქრება იმისა, რომ დაიწყოს ქუთაისის კვდომის შეუქცევადი პროცესი. ამიტომ ჩვენი მთავარი დაპირება, მთავარი გზავნილი ეს არის ქუთაისი როგორც საპარლამენტო დედაქალაქი, თავისი ადგილით, თავისი ფუნქციით

- ხელისუფლებას ქუთაისისთვის უკვე შერჩეული აქვს სტატუსი- საუნივერსიტეტო ქალაქი. თქვენ რას ფიქრობთ ამ სტატუსის შესახებ?

- არ მინდა ვინმემ იფიქროს, რომ მე ამ სტატუსის მოწინააღმდეგე ვარ, თუმცა ეჭვი მეპარება რომ ეს იდეა რეალურად განხორციელდება. მე მახსოვს უფრო ხმაურიანი განცხადებები, როგორც ქუთაისის ისე სხვა თემების მიმართ რასაც „ქართული ოცნება“ პირდებოდა მოსახლეობას,რისი მინიმალური ნაწილიც კი არ შესრულდა. ამიტომ მგონია, რომ ეს განცხადება წინასაარჩევნო პიარის ნაწილია. მე ვფიქრობ რომ ქუთაისის საპარლამენტო სტატუსი ხელს არ უშლის საუნივერსიტეტო ქალაქის სტატუსს, პირიქით არსებობს მრავალი ქალაქი მსოფლიოში, მათ შორის ევროპაშიც, რომელთა პოლიტიკურმა წონამ გაზარდა საუნივერსტეტო ქალაქის პრესტიჟი. ერთ-ერთი ასეთი საუნივერსიტეტო ცენტრია სტრასბურგი, რომელიც მას შემდეგ უფრო მიმზიდველი გახდა რაც ის საპარლამენტო დედაქალაქად იქცა. მე სკეპტიკურად ვუყურებ მილიარდი ლარის დახარჯვას საუნივერსიტეტო ქალაქის მგანვითარებისათვის. სკეპტიკურად ვუყურებ 60 000 სტუდენტის არსებობას. ციფრები გადაჭარბებული მგონია და წინასაარჩევნო პიარის ნაწილი.

გაგრძელება **მე-3 გვერდზე**

PSnews.ge
ISSN 1987-7056

ინფორმირებული არჩევნისთვის

2016 წლის 8 ოქტომბერს საქართველოში საპარლამენტო არჩევნებია!

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი მოსახლეობას აფრთხილებს

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი თამარ ქალდანი მოსახლეობას პირადი ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით რჩევებს აძლევს: *"არჩევნების მოახლოვებასთან ერთად ამომრჩევლის პერსონალური მონაცემების შეგროვების საკითხი სულ უფრო აქტუალური ხდება. მოქალაქეები საუბრობენ იმაზე, რომ მათგან სხვადასხვა პირები პერსონალური მონაცემების მოპოვებას ცდილობენ, ეკითხებიან პირად ნომერს, ასაკს, თუ ვის აძლევენ ხმას, სთხოვენ ხელმოწერას სხვადასხვა დოკუმენტზე.*

თუ ასეთი თხოვნით თქვენც მოგმართეს, იცოდეთ, რომ არ ხართ ვალდებული გასცეთ მონაცემები და არავის აქვს უფლება გაიძულოთ მათი გამჟღავნება. თქვენი არჩევანია, მიაწვდით თუ არა ვინმეს თქვენ შესახებ ინფორმაციას და რა მოცულობით. ამ გადაწყვეტილების მიღებისას კი მნიშვნელოვანია გაითვალისწინოთ, რომ: ინფორმაციის გაცემამდე გაქვთ უფლება მოითხოვოთ განმარტება, ვინ და რა მიზნით აგროვებს თქვენს მონაცემებს და რისთვის აპირებს მომავალში მათ გამოყენებას.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი

თუ დოკუმენტზე ხელმოწერას გთხოვენ, თქვენ გაქვთ უფლება გაეცნოთ სრულ ტექსტს და შესაბამისად მიიღოთ გადაწყვეტილება; თქვენ გაქვთ უფლება არ გაამჟღავნოთ ოჯახის წევრებისა და ახლობლების მონაცემები მათთან შეთანხმების გარეშე," _ ნათქვამია განცხადებაში.

ამასთან, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი მოქალაქეებს მოუწოდებს, რომ თუ მიიჩნევენ, რომ მათი მონაცემები შეიძლება უკანონოდ გამოიყენონ, დაუკავშირდეს ინსპექტორის ოფისს:

თბილისი ვაჩნაძის ქუჩა #7, ტელ: 2421000, ელფოსტა office@pdp.ge.

კონსულტაციის მისალებად ან მედიასთან დასაკავშირებლად დაეკონტაქტეთ ცხელ ხაზზე: **595 555 903.**
კავკასიის ჟურნალისტთა ცენტრი;
საქართველოს მედიამონიტორინგის ცენტრი

PARTIEBI.GE – გაეცანით პარტიების ხედვებს

partiebi.ge NIMD-ის პროექტია, რომელიც 2012 წლიდან მოყოლებული, რეგულარულად აქვეყნებს საქართველოს პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო შეხედულებებს ქვეყნისთვის მნიშვნელოვან პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებზე. პროექტი საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მიერ არის დაფინანსებული და მიზნად ისახავს 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ხელი შეუწყოს, როგორც პარტიათა პოლიტიკური წინადადებების ფორმირებას, ისე საზოგადოების ინფორმირებას ამ წინადადებების შესახებ.

საქართველოს პოლიტიკურ პარტიებს ჰქონდათ საშუალება მოკლე, ლაკონური პასუხები გაეცათ ქვეყნისთვის აქტუალურ და მნიშვნელოვან 29 საკითხთან მიმართებაში. თითოეულ პარტიას, ყველა კითხვაზე თანაბარი მოცულობის _ მაქსიმუმ 250-სიტყვიანი პასუხის გაცემა შეეძლო.

ამ ვებ-გვერდის საშუალებით, თქვენ შეგიძლიათ გაეცნოთ ცალკეული პოლიტიკური პარტიების ხედვებს და თქვენთვის საინტერესო საკითხებზე თემატურად შეადაროთ ერთმანეთს. სოციალური მედიის აპლიკაციები კი, საშუალებას მოგცემთ ადვილად გაავრცელოთ და იმსჯელოთ თქვენთვის საინტერესო იმ საკითხებზე, რომელთაც აქ იხილავთ.

შედეგების დათვლის პროცესს შეგიძლიათ პირდაპირ რეჟიმში უყუროთ

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე თამარ ჟვანიამ მედიას საარჩევნო ადმინისტრაციის შუალედური ანგარიში წარუდგინა. ანგარიში პარლამენტის არჩევნების დანიშვნის დღიდან, მიმდინარე წლის 8 ივნისიდან 8 სექტემბრამდე პერიოდს მოიცავს და საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ გახორციელებულ სხვადასხვა მნიშვნელოვან საქმიანობას ასახავს.

"ძალიან ბევრი სიახლე და სერვისი შევთავაზეთ ჩართულ მხარეებსა და ამომრჩევლებს... მაგალითად, ნებისმიერ მსურველს, პირდაპირ _ ონლაინ რეჟიმში, "ფეისბუქისა" და "იუთუბის" მეშვეობით შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია და საჯაროდ ნახონ, როგორ ითვლება შედეგები ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში. 360-გრადუსიანი სპეციალური ვიდეოკამერის მეშვეობით, ჩვენ შესაძლებლობას ვაძლევთ ნებისმიერ მსურველს, რომ სოციალურ ქსელებში პირდაპირ, საჯაროდ დაკვირდნენ შედეგების დათვლის პროცესს ცესკოში. აქ შემოდის ოქმები, ხდება ოქმებისა და მონაცემების დამუშავება და ნებისმიერს შეუძლია ეს პროცესი ნახოს საჯაროდ. ეს არის ჩვენ მიერ გადადგმული ძალიან დიდი ნაბიჯი გამჭვირვალობისთვის, ხელმისაწვდომობისთვის და იმისთვის, რომ შედეგების მიმართ ნდობა იყოს მაქსიმალურად მაღალი," _ განუცხადა ჟურნალისტებს **ცესკოს თავმჯდომარემ.**

მან რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე გაამახვილა ყურადღება, მათ შორის, ამომრჩევლებზე, საუბნო საარჩევნო კომისიებზე, დამკვირვებლებზე, ცესკოს საინფორმაციო კამპანიაზე, ჩართულ მხარეებთან თანამშრომლობაზე, ცესკოს გენდერულ პოლიტიკაზე.

ცესკოს თავმჯდომარის განცხადებით, 8 ოქტომბრის არჩევნებისთვის რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 12 აგვისტოს მდგომარეობით, 3 510 514-ს შეადგენს, მათ შორისაა 1 887 130 (53.75%) ქალი და 1 623 384 (46.24%) კაცი.

ამომრჩეველთა ერთიან სიაში საკუთარი და ოჯახის წევრების მონაცემების გადამოწმების გამარტივების მიზნით, ცესკომ ამომრჩეველს არაერთი ახალი სერვისი შესთავაზა. მონაცემების გადამოწმება შესაძლებელია ცესკოს ოფიციალური ვებ-გვერდის (voters.cec.gov.ge) მეშვეობით; წელს პირველად მოქალაქეებს შესაძლებლობა ჰქონდათ საკუთარი და ოჯახის წევრების მონაცემები გადაემოწმებინათ საქართველოს მასშტაბით განთავსებულ 7000 სწრაფი გადახდის ტერმინალში, ასევე ანდროიდის სისტემაზე მორგებული მობილური ტელეფონის ან/და პლანშეტის საშუალებით. ამომრჩეველს ასევე შეუძლია მიიღოს ინფორმაცია თუ რომელ საარჩევნო უბანზეა რეგისტრირებული და რუკაზე ნახოს მისი ადგილმდებარეობაც. მნიშვნელოვანია, რომ ცესკოს მიერ შეთავაზებული მონაცემთა გადამოწმების სერვისით 10 ივნისიდან 945 761-მა ამომრჩეველმა ისარგებლა.

მიმდინარე წლის 8 სექტემბრის მდგომარეობით, რეგისტრაციაში გატარდა 25 საარჩევნო სუბიექტი, მათ შორის 19 პარტია და 6 საარჩევნო ბლოკი, 28 პარტიას კი უარი ეთქვა/გაუუქმდა რეგისტრაცია. ასევე რეგისტრირებულია 57 საინიციატივო ჯგუფი.

რაც შეეხება საარჩევნო უბნებს, 8 ოქტომბრის არჩევნები 73 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში, 3, 634 საარჩევნო უბანზე ჩატარდება. სხვა სახელმწიფოებში 56 უბანი შეიქმნა. ავღანეთში კი _ 2 საარჩევნო უბანი: ბაგრამის და მაზარი-შარიფის საარჩევნო უბნები.

არჩევნებზე დაკვირვების მიზნით, ანგარიშის წარმოდგენის დრომდე, ცესკო-სა და საოლქო საარჩევნო კომისიებში რეგისტრაცია გაიარა 74-მა ადგილობრივმა და 32-მა საერთაშორისო (მათ შორისაა 20 საარჩევნო ადმინისტრაცია და 4 ქვეყნის საელჩო) ორგანიზაციამ. აკრედიტაცია 34-მა მედიასაშუალებამ გაიარა.

თამარ ჟვანიას თქმით, საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ ჩართული მხარეებისა და ამომრჩევლის დროულად ინფორმირების მიზნით, ცესკომ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ახალი, მომხმარებელზე მორგებული და ინფორმაციული ვებ-გვერდი შექმნა. ცესკოს ვებ-გვერდი საქართველოში პირველია, რომელიც სრულად ადაპტირებულია უსინათლო ამომრჩევლისთვის. გარდა ამისა, ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობის და საზოგადოების ყველა ჯგუფისთვის თანაბარი პირობების უზრუნველყოფის მიზნით, ცესკომ არაერთი ნაბიჯი გადადგა შშმ პირებთან და ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან კომუნიკაციის გაუმჯობესების, ადაპტირებული საარჩევნო უბნების რაოდენობის ზრდის, საარჩევნო დოკუმენტაციის ეთნიკური უმცირესობების ენებზე თარგმნის მიმართულებით.

ცესკოს ინიციატივით, საარჩევნო ადმინისტრაციის და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ქცევის კოდექსს და შეთანხმდნენ, რომ თავისი საქმიანობის გახორციელებისას საქართველოს კანონმდებლობით, საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტებით და აღნიშნული ქცევის კოდექსით იხელმძღვანელებენ.

ცესკომ, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორის კომისიასა და ცხრა ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციას შორის საქართველოს პარლამენტის არჩევნებისთვის ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შესახებ მემორანდუმი გააფორმა. მემორანდუმს ხუთი პოლიტიკური პარტია შეუერთდა. დოკუმენტზე ხელმომწერი მხარეები საქართველოს ორგანული კანონის "საარჩევნო კოდექსი" 45-ე, 48-ე და 49-ე მუხლების ნორმების ერთგვაროვან განმარტებაზე შეთანხმდნენ.

თამარ ჟვანიამ საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ გახორციელებულ საგანმანათლებლო პროექტებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ცესკოს სწავლების ცენტრი უზრუნველყოფს საარჩევნო ადმინისტრაციის ყველა დონის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებას. მისივე თქმით, შემუშავდა სახელმძღვანელო ინსტრუქციები საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის, რომლებიც ითარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. ასევე, ჩატარდა საინფორმაციო-საგანმანათლებლო პროგრამები საარჩევნო პროცესში ჩართული მხარეებისთვის, შეიქმნა დამხმარე სახელმძღვანელოები ადგილობრივი თვითმმართველობების იურისტებისა და მედიისთვის. ჩართული მხარეებისთვის ასევე ხელმისაწვდომია დისტანციური სასწავლო პროგრამა.

ასევე, აღსანიშნავია, რომ საარჩევნო ადმინისტრაციამ თავისი საქმიანობის ისტორიაში პირველად დაამტკიცა გენდერული თანასწორობის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ადმინისტრაციის პრინციპულ და პროფესიულ მიდგომას გენდერული თანასწორობის მიმართ, რითაც საარჩევნო პროცესებში ქალთა და მამაკაცთა თანაბარ მონაწილეობას სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება.

ცესკო
საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

კავკასიის ჟურნალისტთა ცენტრისა და საქართველოს მედიამონიტორინგის ცენტრის ერთობლივი პროექტი
"ინფორმირებული არჩევნისთვის _ საინფორმაციო კამპანია ყველა რეგიონისთვის"
ხორციელდება საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის
ფინანსური მხარდაჭერით.

საარჩევნო სისტემების
განვითარების, რეფორმებისა და
სწავლების ცენტრი

სახელმწიფოს მიერ აზომვითი ნახაზის საფასურის ანაზღაურება

მიწის რეგისტრაციის რეფორმამ, რომელიც 2016 წლის 1 აგვისტოს დაიწყო, რეგისტრაციის პროცედურა მნიშვნელოვნად გაამარტივა და ამ პროცესში არსებული ბარიერები მოხსნა.

მიწის რეგისტრაციის პროცესში ერთ-ერთ მნიშვნეოვანია საკადასტრო აზომვითი ნახაზი. 2016 წლის პირველი სექტემბრიდან საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მიწის რეგისტრაციას მხოლოდ ახალი სტანდარტით შედგენილი აზომვითი ნახაზის საფუძველზე ახორციელებს. სტანდარტი მიწის რეგისტრაციის რეფორმის ფარგლებში შემუშავდა. რეფორმის შედეგად, გარდა ბარიერების მოხსნისა, აზომველსა და მოქალაქეს შორის პასუხისმგებლობაც გაიმიჯნა: უძრავი ნივთის ადგილმდებარეობასა და საზღვრის იდენტიფიცირებაზე პასუხისმგებელია მესაკუთრე, ხოლო აზომვითი სამუშაოების სრულყოფილად შესრულებასა და ნახაზის სისწორეზე კი - აზომველი.

აღსანიშნავია, რომ რეფორმის დაწყებამდე არასწორად ან ხარვეზებით შედგენილი აზომვითი ნახაზი მოქალაქეებისთვის მიწის რეგისტრაციის შემაფერხებელი მიზეზი ხშირად ხდებოდა. ახალი სტანდარტისა და დეტალური სპეციფიკაციის დახმარებით, რომელიც საჯარო რეესტრის ვებგვერდზეა www.napr.goV.ge განთავსებული, აზომველებმა ზუსტად იციან, როგორ აზომონ ნაკვეთი ცდომილების გარეშე და შეადგინონ სრულყოფილი ნახაზი. აღნიშნულ სიახლეს მინიმუმამდე დაჰყავს მესაკუთრეებს შორის სამომავლო დავების წარმოშობის რისკი.

აღსანიშნავია, რომ რეფორმის ფარგლებში შესრულებული აზომვითი ნახაზის საფასურს საამზომველო კომპანიებს სახელმწიფო უნაზღაურებს. პროცედურა კი ასეთია: მოქალაქეებმა, რომლებსაც მიწის რეგისტრაცია სურთ, აზომვითი ნახაზისთვის მათი რაიონის ყველაზე კომპეტენტურ აზომველს უნდა მიაკითხონ; აუხსნან, თუ რისი რეგისტრაცია სურთ და აჩვენონ საბუთები, რომლებიც მიწის ნაკვეთზე მათ საკუთრებას ადასტურებს. შემდეგ კი საჭიროა, აზომველისგან ნახაზის მომზადების შესახებ ხელშეკრულების ფორმა მოითხოვონ, შეავსონ და მას ხელი აზომველთან ერთად მოაწერონ.

მომდევნო ეტაპზე მოქალაქემ აზომველს მიწის ნაკვეთი ადგილზე უნდა აჩვენოს და ზუსტად მიუთითოს, სად მდებარეობს მისი ნაკვეთი; დათქმულ დროს მიაკითხოს მას, ხელზე აიღოს აზომვითი ნახაზი, დისკი და სამუშაოს შესრულების შესაბამისი მიღებაჩაბარების აქტი გააფორმოს, აზომველს კი ხარჯების ამსახველი დოკუმენტი და საბანკო ანგარიშის მონაცემები გამოართვას.

უფლების დამდგენი საბუთი, აზომვითი ნახაზი და ყველა დანარჩენი დოკუმენტი - ხელშეკრულება, მიღებაჩაბარების აქტი, ხარჯების ამსახველი დოკუმენტი და ამზომველის საბანკო ანგარიშის მონაცემები - მოქალაქემ საჯარო რეესტრში უნდა ჩააბაროს. თუ მისი მიწის ნაკვეთი დარეგისტრირდება, საჯარო რეესტრი ყველა საჭირო საბუთს სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში თვითონ გადააგზავნის. შედეგად, ამზომველს გაწეული სამუშაოს ანაზღაურება სახელმწიფოს მიერ პირდაპირ ანგარიშზე ჩაერიცხება.

საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საჯარო რეესტრის წარმომადგენლებმა აზომვითი ნახაზის ახალი სტანდარტით შესრულებასთან დაკავშირებით რეგიონებში მოქმედ საამზომველო კომპანიებთან საკონსულტაციო შეხვედრებიც გამართეს. ამ შეხვედრებზე ნებისმიერ ამზომველს საშუალება ჰქონდა, აზომვითი ნახაზის ახალი სტანდარტის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მისთვის მოსახერხებელ ქალაქში მიეღო. საჭიროების შემთხვევაში, საჯარო რეესტრის თანამშრომლები მათ ნახაზის შედგენის წესთან დაკავშირებით ტრენინგსაც უტარებდნენ. ამ დრომდე საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში 318 ამზომველმა გაიარა კონსულტაცია. თანამშრომლობა საჯარო რეესტრსა და საამზომველო კომპანიებს შორის მომავალშიც გაგრძელდება.

დაინტერესებულ მოქალაქეებსა თუ საამზომველო კომპანიებს მიწის რეგისტრაციის შესახებ მათთვის საჭირო ინფორმაციის მიღება ცხელ ხაზზე 2 405 405, ელექტრონული ფოსტითა info@napr.gov.ge და საჯარო რეესტრის facebook-ის ოფიციალური გვერდის დახმარებით შეუძლიათ.



გია თევდორაძე:
„დღეს ქუთაისს სჭირდება გამოცდილება, კომპეტენცია და ერთგულება"

პირველი გვერდიდან

მივესალმები ნებისმიერ სტატუსს ქუთაისისთვის, მივესალმები ნებისმიერი რაოდენობის ფულადი სახსრების დახარჯვას ქუთაისში, თუ ეს ქუთაისის მოსახლეობის კეთილდღეობას შეუწყობს ხელს.

- გაქვთ თუ არა კონკრეტული ინიციატივები ქუთაისთან დაკავშირებით, რასაც შესთავაზებთ საკანონმდებლო ორგანოს.

- მე და ჩემს კოლეგებს, კაკო ბობოხიძესა და გიგი წერეთელს გვაქვს საერთო ინიციატივა, ეს არის კანონი ქუთაისის,როგორც საპარლამენტო დედაქალაქის შესახებ. ეს იქნება მასშტაბური და კომპლექსური საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც პირველ რიგში იქნება დაკავშირებული ქალაქის ფისკალურ პოლიტიკასთან. გაზრდილი ბიუჯეტი ბუნებრივრივია არამარტო ქალაქის ინფრასტრუქტურას განავითარებს და მოქალაქეთა საყოფაცხოვრებო პრობლემებს მოაგვარებს, არამედ თავად ქალაქის ეკონომიკას მნიშვნელოვნად წაადგება.

- თქვენ ინტენსიურად ხვდებით მოსახლეობას, რა ძირითადი პრობლემები აწუხებთ ქუთაისელებს და თქვენი არჩევის შემთხვევაში თუ გაქვთ კონკრეტული გეგმა ამ პრობლემების მოსაგვარებლად.

- უმთავრეს პრობლემად რასაც გამოვყოფდი, სხვა კომუნალური თუ ყოფითი პრობლემების გარდა, რომლებიც სხვადასხვა უბანში სხვადასხვა სიმწვავისა და ხასიათისაა, ეს არის უმუშევრობა. დღეს ქუთაისში სიდუხჭირეა, ადამიანებს უჭირთ ყოველი დღის გადატანა. ამიტომ ჩვენი მთავარი სამოქმედო სტრატეგია არის დაფუძნებული ბიზნესს მიეცეს განვითარების საშუალება. შემცირდება მოგებისა და საშემოსავლო გადასახადები, ასევე დღგ-ს გადამხდელთათვის ზღვარის აწევას 200 000 ლარამდე. ყველა მეწარმე რომელთა შემოსავალი არ აღემატება 250 ლარს გათავისუფლდება გადასახადებისაგან. თუმც ქუთაისისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მის სტატუსსა და ფუნქციას, რაც სხვა სიცოცხლისუნარიანობას შესძენს ქალაქს. რაც მნიშვნელოვანი იქნება ეკონომიკის განვითარებისათვის და ახალი სამუშაო ადგილების შექმნისათვის.

- თქვენ რომ რიგითი ამომრჩეველი იყოთ, რატომ მისცემდით ხმას გიორგი თევდორაძეს?

- დღეს ქუთაისს სჭირდება გამოცდილება, სჭირდება კომპეტენცია და ერთგულება. მე ვფიქრობ, რომ სწორედ ამ სამ ადამიანურ თვისებას ნამდვილად ვაერთიანებ და ჩემს გამოცდილებას, კომპეტენციას და ერთგულებას მაქსიმალურად გამოვიყენებ ჩემი ქალაქისათვის. რაც შეეხება მის ფუნქციასა და სტატუსს, რასაც პრაქტიკულად ეგზისტენციალური მნიშვნელობა აქვს ქალაქისა და მისი მცხოვრებლებისათვის, მხოლოდდამხოლოდ ჩემი გუნდის გამარჯვების შემთხვევაში იქნება უზრუნველყოფილი. კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ არჩევის შემთხვევაში ვიქნები ჩემი ამომრჩევლის ახლობელი, მეზობელი და მეგობარი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ყოველთვის მზად იქნება მათ გვერდით იდგეს.

იცოდე შენი უფლებები

1. კითხვა: რა ფორმით არის შესაძლებელი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზება?

პასუხი: "სახელმწიფო ქონების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების ფორმებია:

1. **აუქციონი**
2. **პირდაპირი მიყიდვა:** პირდაპირი მიყიდვა შეიძლება განხორციელდეს კონკურენტული შერჩევის საფუძველზე ან იჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პირდაპირი მიყიდვის გზით.

2. კითხვა: რას ნიშნავს აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების პრივატიზება?

პასუხი: აუქციონზე ქონების განკარგვა წარმოადგენს ქონების გასხვისების ერთ-ერთ გავრცელებულ ფორმას, რომლის მიზანია საკუთრების უფლება მიანიჭოს აუქციონში მონაწილე იმ პირს, რომელიც ვაჭრობის პროცესში სახელმწიფო ქონების განმკარგავ სუბიექტს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს.

სახელმწიფო ქონების აუქციონის ფორმით განკარგვა ხორციელდება ელექტრონული ან/და საჯარო აუქციონის მეშვებით, რის შესახებ ინფორმაცია განთავსდება სახელმწიფო ქონების განმკარგავი სუბიექტის ინტერნეტ გვერდზე: www.privatization.ge და ვებ-გვერდზე www.eauction.ge რაც ინფორმაციის ოფიციალურ გამოქვეყნებად ითვლება.

ინფორმაციის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად საჯარო აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს აგრეთვე ისეთ პერიოდულ გამოცემაში, რომელიც გამოიცემა არანაკლებ კვირაში ხუთჯერ და ვრცელდება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

3. კითხვა: რა დოკუმენტებია წარმოსადგენი დაინტერესებული პირის მიერ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონზე შესაძენად?

პასუხი: დაინტერესებულმა პირმა განცხადებაში უნდა აღნიშნოს მის დაინტერესებაში არსებული ქონების ზუსტი მაიდენტიფიცირებელი მონაცემები ან/და წარმოადგინოს აზომვითი ნახაზი.

იჯარით გაუცემელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზების შემთხვევაში, დაინტერესებული პირები ვალდებულნი არიან დაამზადონ და სამინისტროს წარმოუდგინონ მიწის (მიწების) ნაკვეთის დეტალური აზომვითი საკადასტრო ნახაზი (ნახაზები) და მათ მიერ მოკვლეული ინფორმაცია მიწის კატეგორიისა და ხარისხის თაობაზე.

4. კითხვა: რა ფორმით და როგორ უნდა მიიღოს დაინტერესებულმა პირმა აუქციონში მონაწილეობა ? რა დროს ნახევრდება ქონების საწყისი ფასი აუქციონის განმეორებითი გამოცხადების შემთხვევაში?

სახელმწიფო ქონების შემძენი შეიძლება იყოს საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე ან კერძო სამართლის იურიდიული პირი ან პირთა გაერთიანება, რომლის ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25:-ზე ნაკლებია. გამონაკლის შემთხვევას წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის პრივატიზება, როცა მისი შემძენი შესაძლებელია იყოს მხოლოდ საქართველოს მოქალაქე ან უცხო ქვეყნის ის მოქალაქე, რომელსაც საქართველოში რეგისტრირებული აქვს კერძო სამართლის იურიდიული პირი. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებული პირი უნდა დარეგისტრირდეს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.eauctlon.ge-ზე, სადაც შეგიძლიათ იხილოთ რეგისტრაციასთან და კონკრეტულ ლოტთან დაკავშირებული დაწვრილებითი ინფორმაცია.

თუ არ მოხდება აუქციონის ფორმით გამოტანილი სახელმწიფო ქონების განკარგვა, ამ ქონების შეცვლილი საწყისი საფასურით ან/და პირობებით აუქციონის ფორმით სახელმწიფო ქონების განკარგვის შესახებ გადაწყვეტილება განიხილება, როგორც განმეორებითი აუქციონი. განმეორებით აუქციონზე სახელმწიფო ქონების საწყისი საფასური შეიძლება 50:-მდე შემცირდეს, ხოლო თუ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონება ამ საფასურად გამოტანის შემდეგაც არ გაიყიდა, საფასური შეიძლება კიდევ შემცირდეს.

5. კითხვა: რა ვადაში უნდა იქნას გადახდილი აუქციონში გამარჯვებულის მიერ ქონების სრული საპრივატიზებო საფასური და რა ვადაში ახდენს სამინისტრო აუქციონში გამარჯვებულ პირთან ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებას?

პასუხი: ქონების საპრივატიზებო საფასურის გადახდა უნდა განხორციელდეს იმ ვადაში, რომელიც მითითებულია კონკრეტულ საპრივატიზებო ლოტზე.

აუქციონის ფორმით პრივატიზებისას ნასყიდობის ხელშეკრულება იდება აუქციონის ჩატარებიდან 1 თვის ვადაში, ხოლო საქართველოს პრეზიდენტის მიერ პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზებისას - შესაბამისი აქტის გამოცემიდან 3 თვის განმავლობაში.

რუბრიკის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა", ის შეიძლება არ ასახავდეს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის, USAID ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

USAID
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST MANAGEMENT INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში (PROLoG)

საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნები

კენჭისყრა იმართება
08:00 საათიდან 20:00 საათამდე



ამომრჩეველთა საყურადღებოდ!

კენჭისყრის შენობაში შესვლისას ნაკადის მომწესრიგებელ კომისიის წევრს წარუდგინეთ პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი (იძულებით გადაადგილებული პირის შემთხვევაში აგრეთვე დევნილის მოწმობა) და გაიარეთ მასთან მარკირების შემოწმების პროცედურა.

თუ აღმოჩნდა, რომ გაქვთ მარკირება, არ მოგეცემათ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება

მარკირების შემოწმების პროცედურის გავლის შემდეგ მიდით სარეგისტრაციო მაგიდასთან და რეგისტრატორს წარუდგინეთ პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი (იძულებით გადაადგილებული პირის შემთხვევაში აგრეთვე დევნილის მოწმობა) ***გაიკეთეთ მარკირება***



მარკირებაზე უარის თქმის შემთხვევაში არ მოგეცემათ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება

ამომრჩეველთა სიაში თქვენი გვარის გასწვრივ გააკეთეთ ხელმოწერა;
მიიღეთ რეგისტრატორისგან ბეჭდითა და ხელმოწერით დამოწმებული საარჩევნო ბიულეტენები;
კენჭისყრის კაბინაში შემოხაზეთ თქვენთვის სასურველი ერთი საარჩევნო სუბიექტის რიგითი ნომერი;
თუ დამოუკიდებლად არ შეგიძლიათ შეავსოთ საარჩევნო ბიულეტენი, უფლება გაქვთ, კენჭისყრის კაბინაში დასახმარებლად მოიწვიოთ ნებისმიერი პირი, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, კანდიდატისა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალების წარმომადგენლისა და დამკვირვებლისა.

თუ გაგიფუჭდათ საარჩევნო ბიულეტენი, მიმართეთ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს,გადაეცით გაფუჭებული და მოითხოვეთ ახალი საარჩევნო ბიულეტენი

კენჭისყრის კაბინიდან გამოსვლის შემდეგ აიღეთ სპეციალური კონვერტი
და დაკეცილი საარჩევნო ბიულეტენები მოათავსეთ მასში;
სპეციალური კონვერტი მოათავსეთ საარჩევნო ყუთში.

კენჭისყრაში მონაწილეობის შემდეგ, გთხოვთ, დატოვოთ საარჩევნო უბანი

ცესკოს სატელეფონო/
საინფორმაციო ცენტრი – 2510051

ცესკო

საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმების და სწავლების ცენტრი

დემოკრატიის სერვისი!

P.S.

მთავარი რედაქტორი: ნატო გუბელაძე
დიზაინი: ირმა ბახუტაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას. Q — **ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე**

გამომცემელი — შპს „P.S.“ („პოსტსკრიპტუმი“). ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია №5/ბ-1401 გაზეთ „P.S.“-ის კლასიფიკაციის კოდი: **UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054) პ - 658 P - 86**

მისამართი: ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37ª. პრესის სახლი. ● (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46. ● psnews27@gmail.com ● www.psnews.ge